



## საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის N<sup>001/13</sup> რეკომენდაციის მოკლე მიმოხილვა

*მარიამ გაჩეჩილაძე (სტუდენტი)*

### **შეკითხვა:**

წარმოიშობა თუ არა „ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი“-ს 8<sup>1</sup> მუხლით გათვალისწინებული აკრძალული ნორმის შემადგენლობა, იმ შემთხვევაში, როცა საადვოკატო ბიუროს საქმიანობა მოცულია ერთ აბრაში, წარწერით - განთავსებულია „ადვოკატურა“, ხოლო ერთ-ერთი ადვოკატის მხრიდან „ხაზგასმულად“, საქმიანობაში უპირატესობის აღსანიშნავად დამატებითი აბრის დამაგრება წარწერით „ადვოკატი (სახელი, გვარი)“ მასზე დამატებითი წარწერის აღნიშვნით „ყოფილი მოსამართლე“.

### **სამართლებრივი შეფასება:**

რეკლამაში ასახული ინფორმაცია, რომელიც ეხება ადვოკატის საქმიანობას უნდა იყოს სწორი და არ უნდა შეიცავდეს ისეთ ინფორმაციას, რაც შეცდომაში შემყვანი იქნება; ასევე, რეკლამაში არ უნდა იყოს პირდაპირი ან ირიბი მითითება სხვა ადვოკატის შესახებ ან ამ ადვოკატის მომსახურების თაობაზე.

მოცემულ შემთხვევაში, ორივე წარწერა გაკეთებულია აბრებზე, რომელთა განთავსების მიზანს წარმოადგენს ადვოკატების საქმიანობის რეკლამირება. კერძოდ, შენობის გარე ფასადზე აბრების განთავსება წარწერებით „ადვოკატურა“ და „ადვოკატი (სახელი, გვარი) ყოფილი მოსამართლე“, გამოიზღვრება პირთა განსაზღვრული წრისათვის. პირველ აბრაზე წარწერა „ადვოკატურა“ მკვითხველს აწვდის ინფორმაციას, რომ აღნიშნულ შენობაში განთავსებულია საადვოკატო ბიურო და შესაბამისად, აბრის წაკითხვის შემდეგ არსებობს მოლოდინი, რომ იურიდიული კონსულტაციის მიღების მსურველს შეუძლია მიმართოს აღნიშნულ ბიუროს, თუმცა წარწერა „ადვოკატურა“ არის ზოგადი ინფორმაციის შემცველი და რეკომენდირებულია, საადვოკატო ბიუროს ჰქონდეს შესაბამისი სახელი და საქმიანობის აღნიშვნა არ იყოს გვარეობითი ცნებით გამოხატული, როგორცაა „ადვოკატურა“, რაც საყოველთაოდ გამოიყენება და დამკვიდრებულ ტერმინს წარმოადგენს საადვოკატო ბიუროს საქმიანობისას.

მეორე აბრაზე განთავსებული წარწერით – „ადვოკატი (სახელი, გვარი)“ „ყოფილი მოსამართლე“, მკითხველი იგებს არამხოლოდ კონკრეტული ადვოკატის ვინაობას, არამედ ეს წარწერა შეიცავს დამატებით ინფორმაციას ადვოკატის პროფესიული გამოცდილების შესახებ. თუმცა ეს არ გულისხმობს, რომ პირი ამ აბრების წაკითხვის შემდეგ უპირატესობას აუცილებლად მიანიჭებს იმ ადვოკატს, რომელსაც მოსამართლედ მუშაობის გამოცდილება აქვს, რადგან შესაძლოა საადვოკატო მომსახურების მიღების მსურველისათვის არ იყოს მისაღები იმ ადვოკატისგან იურიდიული კონსულტაციის მიღება, რომელიც ყოფილი მოსამართლე იყო.

ადვოკატმა დამატებით აბრაზე მიუთითა კონკრეტული ინფორმაცია მისი პროფესიული გამოცდილების შესახებ, არ არის ირიბი მითითება შეკითხვაში აღნიშნულ საადვოკატო ბიუროში მომუშავე ადვოკატების იურიდიულ მომსახურებაზე. დამატებით აბრაზე განთავსებული წარწერა არის ერთგვარი ინფორმაცია ადვოკატის შესახებ, რაც გარე

<sup>1</sup> <https://gba.ge/pdf/5c7fc201ddc84.pdf/19%20April%202013%20001.13.pdf>

რეკლამის სახითაა წარმოდგენილი, რომელიც ადვოკატის აზრით არის მომგებიანი მისი საქმიანობის წარმატებით განხორციელებისთვის.

### **დასკვნა**

იმ შემთხვევაში, თუ საადვოკატო ბიუროს საქმიანობა აღნიშნულია ერთ აბრაზე წარწერით „ადვოკატურა“ და იქვე მეორე აბრაზე განთავსებულია ამავე საადვოკატო ბიუროში მომუშავე ადვოკატის „სახელი, გვარი“ და წარწერა „ყოფილი მოსამართლე“, ამ წარწერით არ ირღვევა ადვოკატთა პროფესიული ეთიკის მე-8 პრიმა მუხლი, რადგან აღნიშნული ინფორმაცია ეხება მხოლოდ კონკრეტული ადვოკატის ვინაობასა და მის პროფესიულ გამოცდილებას, რაც არის ამ ადვოკატის საქმიანობის რეკლამირების ერთ-ერთი საშუალება. თუმცა რეკომენდირებულია საადვოკატო ბიუროს ჰქონდეს შესაბამისი სახელი და საქმიანობის აღნიშვნა არ იყოს გვარეობითი ცნებით გამოხატული, როგორცაა „ადვოკატურა“, რაც საყოველთაოდ გამოიყენება და დამკვიდრებულ ტერმინს წარმოადგენს საადვოკატო ბიუროს საქმიანობისას.